KA030110966246820

№ 01-10323 **03 / ოქტომბერი / 2020 წ.**

ადმინისტრაციის უფროსს
ქალბატონ თინათინ ხარძიანს

ასლი: მსოფლიო ბანკის (IBRD, IDB) სესხის ფარგლებში, პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) პროექტის მენეჯერს
ქალბატონ ნინო კვერნაძეს

ქალბატონო თინათინ,

პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველომ განიხილა თქვენი 2020 წლის 1 ოქტომბრის №01-10276 წერილი შესასყიდი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სპეციფიკაციების მოწოდების თაობაზე.

გაცნობებთ, რომ სამედიცინო დაწესებულებაში ინდივიდუალური საშუალებების (იდს) გამოყენების რეკომენდაციები დამტკიცებულია შემდეგი დოკუმენტებით:

- „ინფექციის კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში - ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 14 სექტემბრის № 01-455/ო ბრძანების №5 დანართი - „ინდივიდუალური დაცვის საშუალებები“
- „ახალი კორონა ვირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის N01-123/ო ბრძანების №23 დანართით - „სამედიცინო დაწესებულებაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-ის შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების რეკომენდაციები“.

აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, იდს-ებისადმი განსაზღვრული მოთხოვნები შემდეგია:

1. **ერთჯერადი ხელთათმანი** - არასტერილური, უპირატესობა ენიჭება ნიტრილის ხელთათმანს, ყველა (S,M,L) ზომა ;
2. **ერთჯერადი ქირურგიული ხალათი** - არასტერილური, სითხე/წყალმედეგი, რომელსაც აქვს ელასტიური მანჟეტით დაბოლოებული გრძელი სახელოები, ყველა (S,M,L) ზომა ;
3. **ქირურგიული ნიღაბი** - ერთჯერადი, საწყისი ფილტრაციის მაჩვენებელით - წვეთოვანი ნაწილაკების არანაკლებ 95%-ის შეკავება, სამშრიანი (სითხეებისადმი რეზისტენტული ქსოვილი, ფილტრის შრე, კანთან საკონტაქტო ფენა), რეგულირებადი ცხვირის ფირფიტით და ყურის ელასტიკური მარყუჟებით;
4. **რესპირატორი** - KN95, FFP2 ან FFP3.

რაც შეხება კომბინეზონის, სპეციფიკაციებს, ჩვენი დოკუმენტებით განსაზღვრული არ არის, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია წყალ/სითხემედეგობა და ზომები (S,M,L).

დამატებითი სპეციფიკაციები შეგიძლიათ იხილოთ ჯანმოს ლოჯისტიკის სახელმძღვანელოთი შესაბამის ბმულზე: https://www.who.int/emergencies/what-we-do/prevention-readiness/disease-commodity-packages/dcp-ncov.pdf?ua=1.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

გიორგი ჭავჭავაძე